ფინანსური ანგარიშგება და

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გლობალ კომპანი

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

სრული შემოსავლის ანგარიშგება 5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 6

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 8

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია 8

2. შედგენის საფუძველი 8

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე 8

2.2. მომზადების საფუძვლები 8

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა 8

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები 9

3.1. უცხოური ვალუტა 9

3.2. ძირითადი საშუალებები 9

3.3. არამატერიალური აქტივები 10

3.4. აქტივების გაუფასურება 10

3.5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 11

3.6. კაპიტალი 11

3.7. იჯარა 11

3.8. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები 11

3.9. ამონაგების აღიარება 12

3.10. მოგების გადასახადი 12

3.11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 12

3.12. სავაჭრო ვალდებულებები 13

4. ძირითადი საშუალებები 14

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 15

6. ფულადი სახსრები 15

7. სესხები 15

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 16

9. შემოსავალი რეალიზაციიდან 16

10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება 16

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 17

12. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება 17

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 17

14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 18

15. ფინანსური რისკის ფაქტორები 18

Grant Thornton

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გრანთ თორნთონ
კეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს „გლობალ კომპანი"-ს ხელმძღვანელობას

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შევადგინეთ შპს „გლობალ კომპანი"-ს („კომპანია") ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებები" შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან, კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის მოსაზრებას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პაატა შურღაია

თანამმართველი პარტნიორი

2024 წლის 26 სექტემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		222	222
ძირითადი საშუალებები	4	298,584	201,805
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		**298,806**	**202,027**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		2,165	1,405
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		4,908	7,286
საგადასახადო ავანსი		22,130	20,312
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	773,684	687,414
ფული და ფულის ექვივალენტები	6	102,563	94,981
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		**905,452**	**811,398**
მთლიანი აქტივები		**1,204,258**	**1,013,425**
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		48,202	48,202
გაუნაწილებელი მოგება		836,071	623,979
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		18,180	18,180
მთლიანი კაპიტალი		**902,453**	**690,361**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	-	184,366
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**184,366**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	7	265,020	87,777
მიღებული ავანსები		5,703	5,414
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	22,366	41,606
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		8,711	1,901
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		**301,800**	**138,698**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**1,204,258**	**1,013,425**

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	3,026,288	4,164,073
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(2,302,452)	(3,413,112)
საერთო მოგება		**723,837**	**750,961**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(390,473)	(385,669)
საოპერაციო ხარჯები		**(390,473)**	**(385,669)**
საოპერაციო მოგება		**333,364**	**365,292**
ფინანსური შემოსავლები		4	200
ფინანსური ხარჯები		(17,181)	(12,770)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		33,284	(67,684)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		(90,320)	(330)
მოგება დაბეგვრამდე		**259,151**	**284,708**
მოგების გადასახადის ხარჯი		(7,059)	(46,258)
საანგარიშო პერიოდის მოგება		**252,092**	**238,450**
ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ნამეტი		-	18,180
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**252,092**	**238,450**

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	**35,282**	-	**647,655**	**682 937**
წლის მოგება	-	-	257,672	257,672
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგი	-	11,180	-	11,180
წლის მთლიანი შემოსავალი	-	*11,180*	*257,672*	*268,852*
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	12,920	-	-	12,920
დივიდენდები	-	-	(262,126)	(262,126)
ოპერაციები მფლობელებთან	*12,920*	-	*(262,126)*	*(249,206)*
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**48,202**	**11,180**	**643,201**	**702,583**
2022 წლის გადაანგარიშება	-	7000	(19,222)	(12,222)
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	**48,202**	**18,180**	**623,979**	**690,361**
წლის მოგება	-	-	252,092	252,092
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგი	-	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	-	*252,092*	*252,092*
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	(40,000)	(40,000)
ოპერაციები მფლობელებთან	-	-	*(40,000)*	*(40,000)*
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**48,202**	**18,180**	**836,071**	**902,453**

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისთვის გაწეული მომსახურებისათვის მიღებული თანხები	3,067,025	4,262,974
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	28,991
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები - დღგ	26,003	1,517
მთლიანად მიღებული	**3,093,028**	**3,093,028**
გადახდები მომწოდებლებზე	(2,406,148)	(3,410,322)
საპენსიო გადახდები	(16,398)	(13,915)
გადახდილი ხელფასები	(372,870)	(309,845)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(142,665)	(195,117)
მივლინების თანხები	(109,549)	(167,608)
ბანკის საკომისიო	(2,868)	(2,794)
გადახდილი პროცენტები	(17,181)	(12,770)
სხვა გადახდები	(1,185)	(552)
მთლიანად გადახდილი	**(3,068,864)**	**(4,112,923)**
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	***24,164***	***180,639***
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	4	200
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	***4***	***200***
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხები	125,230	143,285
გადახდილი სესხები	(99,621)	(79,197)
გადახდილი დივიდენდები	(38,000)	(249,020)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	***(12,387)***	**(184,732)**
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე და მის ეკვივალენტებზე	(4,195)	(23,647)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	94,981	109,801.00
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	**102,563**	**94,981**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს გლობალ კომპანი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2011 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საექსპედიტორო, საბროკერო და გადაზიდვის მომსახურება. კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

დამფუძნებელი	რეგისტრაციის ადგილი	2023 წლის 31 დეკემბერი
62006018572, ლევან თორია	საქართველო	50%
42001015624, ლევანი გოცირიძე	საქართველო	50%

2023 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოში მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2. შედგენის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (“ლარი”), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9753 ლარს.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

კომპანიამ წინა საანგარიშგებო წელს (2022 წელი) შეცვალა ძირითადი საშუალებების აღიარების შემდგომი შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა და „თვითღირებულების მოდელიდან" გადავიდა „გადაფასების მოდელზე". მიმდინარე საანგარიშგებო (2023) წელს ძირითადი საშუალებების საბალანსო და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობები არ გამოკვეთილა.

გადაფასების მოდელი

„გადაფასების მოდელი" გულისხმობს, რომ ძირითადი საშუალება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, აისახება გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლია), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება საკმარისად რეგულარულად ტარდება, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, ძირითადი საშუალებების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება, მთლიანად გადაფასდება.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, მუხლში სათაურით „ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი". თუმცა, გადაფასებიდან მიღებული ნამეტი თანხა იმ ოდენობით, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა მოგებაში ან ზარალში აღიარდება. თუმცა, გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი" პოზიციაში დაგროვილ თანხას.

თვითღირებულების მოდელი

კომპანია წინა პერიოდებში ძირითად საშუალებებს აღრიცხავდა „თვითღირებულების მოდელით", რაც გულისხმობს, რომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის

ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	4 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი[1]
შენობა-ნაგებობები	20 წელი

3.3. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

3.4. აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების

[1] *განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით*

შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

3.5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.6. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.7. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.9. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

3.10. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი ") გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმოშობილი.

3.11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორული დავალიანება არ წარმოშობს პროცენტს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასაზუსტებლად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებული.

3.12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

4. ძირითადი საშუალებები

ლარი	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
01 იანვარი 2022 წელი	69,783	6,644	1,466	235,613	**313,506**
შესყიდვები	-	-	-	25,444	25,444
აფასება	-	2530	3650	12,000	18,180
გაყიდვები	-	(55)	-	(12,578)	(12,633)
31 დეკემბერი 2022	**69,783**	**9,119**	**5,116**	**260,477**	**344,496**
შესყიდვები	-	-	-	227,958	227,958
ძირითადი საშუალებების აფასება	-	-	-	-	-
გაყიდვები	-	-	-	(91,817)	**(91,817)**
31 დეკემბერი 2023	**69,783**	**9,119**	**5,116**	**396,618**	**480,637**
დაგროვილი ცვეთა					
01 იანვარი 2022 წელი	19,363	3,121	181	99,583	**122,248**
პერიოდის ცვეთა	3,673	1,628	922	26,854	33,077
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა	-	(56)	-	(12,578)	(12,634)
31 დეკემბერი 2022	**23,036**	**4,694**	**1,103**	**113,858**	**142,691**
პერიოდის ცვეთა	3,673	1,622	922	34,337	40,554
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(1,192)	(1,192)
31 დეკემბერი 2023	**26,709**	**6,316**	**2,025**	**150,905**	**182,053**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	**46,747**	**4,425**	**4,013**	**146,619**	**201,805**
31 დეკემბერი 2023	**43,074**	**2,803**	**3,091**	**245,713**	**298,584**

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2023 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 61 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა, 2022 წლის ბოლოსთვის დებიტორთა რაოდენობა შეადგენდა 55-ს.

დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	605,135	534,064
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	168,549	153,350
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**773,684**	**687,414**

6. ფულადი სახსრები

ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული სალაროში	391	768
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	12,965	14,743
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	89,207	79,470
სულ ფულადი სახსრები	**102,563**	***94 ,981***

უცხოური ვალუტის საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთი შედგება 28,192.93 აშშ დოლარისგან და 4,508 ევროსგან.

7. სესხები

სესხის ტიპი	ვალუტა	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	1 წლის ვადაში დასაფარი თანხა	5 წლის ვადაში დასაფარი თანხა	სულ ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი
სესხები საკრედიტო ორგანიზაციები სგან	აშშ დოლარი	10/09/2024	5%	63,701	81,415	49,102
		20/05/2027	6.5%	26,076	102,951	96,337
		24/05/2028	7.4%	9,143	50,000	119,580

შპს გლობალ კომპანის 2022 წლის განმავლობაში აღებული ჰქონდა ორი სესხი საკრედიტო ორგანიზაციისგან შესაბამისად - 5%-იანი და 6.5 %-იანი განაკვეთით. 2023 წელს კომპანიამ დამატებით აიღო სესხი 50,000 დოლარის ოდენობით 7.4%-იანი განაკვეთით.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ	21,341.00	33,667
სავაჭრო ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	1,025.00	1,000
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8,711.00	6,717
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**31,077**	**41,384**

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

ლარი	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან	2,378,852.69	3,267,816
შემოსავალი შიდა გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან	637,722.31	890,757
სხვა შემოსავალი	9,713.23	5,500
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**3,026,288**	**4,164,073**

10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2023 წელი	2022 წელი
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	1,449,842	2,492,044
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი - ინდ. მეწარმეები	206,162	360,185
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი - არარეზიდენტები	85,305	
გზათსარგებლობის ბარათების და სხვა ხარჯები	46,782	28,677
სატრანსპორტო გადაზიდვა ბაქო	-	61,993
საწვავის ხარჯი	214,849	296,267
მძღოლებისა და ბროკერების შრომის ანაზღაურების ხარჯი	134,775	61,253
მივლინების ხარჯი	26,720	21,911
სატვირთო ავტომობილების ცვეთის ხარჯი	34,337	7,631
სატვირთო ავტომობილების ექსპულატაციის ხარჯები	97,487	63,929
გადამზიდავის პასუხისმგებლობის დაზღვევა	6,193	
სატერმინალო მომსახურება	-	-
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	**2,302,452**	**3,393,890**

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2023 წელი	2022 წელი
ადმინისტრაციული ხელფასი და სხვა შეღავათები	332,766.54	333,549
ცვეთის ხარჯები	6,216.83	6,374
ბუღალტრული მომსახურების ხარჯები	2,918.64	1,695
საპენსიო ხარჯები	6,747.52	5,865
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	232
კომუნიკაციის ხარჯები	3,216.68	3,908
უსაფრთხოების ხარჯები	1,017.00	1,017
დომეინის რეგისტრაციის ხარჯები	40.00	32
კომუნალური ხარჯები	2,361.43	1,827
დაზღვევის ხარჯები	8,684.69	16,928
კომპიუტერის ხარჯები	62.09	21
მივლინების ხარჯები	12,967.52	135
ბანკის საკომისიო	3,844.25	3,947
საკანცელარიო ხარჯები	775.34	1,039
ავტომობილის ხარჯები		1,000
შემოწირულობა	200.00	
სხვა ჯარიმები	984.92	602
სხვა ხარჯები	5,544.43	3,260
საგადასახადო ხარჯები	2,753.82	4,238
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**390,473**	**385,669**

12. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

2023 წელს დაკორექტირდა 2022 წლის პერიოდის გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულება და ასევე ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი, რის საფუძველზეც გადაანგარიშდა მთლიანი კაპიტალის, მათ შორის - გაუნაწილებელი მოგების ნაშთი. შედეგად, ცვლილებები შევიდა შემდეგ მუხლებში:

ლარი	2022 წელი	გადაანგარიშება	2022 წელი გადაანგარიშებული
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	11,180	7000	18,180
ძირითადი საშუალებები	214,028	(12,223)	201,805
გაუნაწილებელი მოგება	257,672	(19,222)	238,450

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას ჰყავს დაკავშირებული კომპანია - შპს მარტლეტი, საიდენტიფიკაციო ნომერი: 415093277.

შპს გლობალ კომპანის 50% წილის მფლობელი, ლევან თოდრია (პ/ნ 62006018572) შპს მარტლეტში იკავებს დირექტორის პოზიციას.

კომპანიის მიერ შპს მარტლეტისგან 2023 წელს შესყიდული მომსახურების ღირებულება შეადგენს 58,990 ლარს, შპს მარტლეტისთვის გაწეული მომსახურების ღირებულება - 19,700 ლარს. გარდა აღნიშნული ოპერაციებისა, კომპანიამ შპს მარტლეტთან 2023 წელს განახორციელა 6,490 ლარის ღირებულების ბარტერული ოპერაცია.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიებს ერთმანეთის მიმართ დავალიანება არ გააჩნიათ.

15. ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში და არარეზიდენტ პირებთან არსებული დებიტორული დავალიანებებიდან, რომლებიც განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.